


რეგისტრირებულია (ველილებებით)

სეკ VIII (XXXV) ყრილობის  
2012 წლის 15 დეკემბრის  
ოქმი № 8/35-ის საფუძველზე

რეგისტრირებულია

ცვლილებებით

საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს  
2013 წლის 16 თებერლის  
№ 5679 გადაწყვეტილებით



საქართველოს ერთიანი კომუნისტური  
პარტიის  
წესდება

(ახალი რედაქცია)

## საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია

### წესდება

#### I. ზოგადი დებულებანი

11. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, რომლის შემოკლებული დასახელებაა "სეკპ" (შემოკლებული ტექსტში - სეკპ), არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება.

12. სეკპ თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებული მიზნების (ამოცანების) განხორციელებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და ამ წესდების შესაბამისად. მისი იურიდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

13. სეკპ არის 1920 წელს შექმნილი საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობის იდეურ-პოლიტიკური გამგრძელებელი, საქართველოს კომპარტიის სამართალმემკვიდრე, აქვს შესაბამისი სიმბოლიკა: ემბლემა (წარმოადგენს წრიულ ფორმას, რომლის შვიდქიმიანი ქართული ორნამენტის რგოლში ჩახატული ცენტრალური ნაწილის ზედა ნახევარში მოთავსებულია სხივოსანი მზე მის კვეთში ჩასმული ხუთქიმიანი ვარსკვლავით, ხოლო ქვევით ცენტრალურ ნაწილში, კავკასიონის

თოვლიანი მთების ფონზე გამოსახულია წარწერა: "სეკპ • ЕКПГ" და ცენტრალური ნაწილის ქვედა ნახევარში ტყის საფარის ფონზე ჩანს პურის თავთავი და ვახის მტევანი, შესრულებული შავ თეთრ ფერებში). დროშა წითელი ქსოვილის, ზემოთ-კუთხეში, დროშის ტართან გამოსახული პარტიის შავ-თეთრი ემბლემით, ბეჭედი, რომლის გამოსახულება ემბლემის იდენტურია; ხელმძღვანელობს მისი პროგრამის ძირითადი პრინციპებით და აგრძელებს მის იდეურ მემკვიდრეობას.

14. სეკპ წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო ანგარიში ბანკში და სხვა ატრიბუტები.

15. პარტიის იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, კასპის ქუჩა №7;

#### II. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის მიზნები.

21. სეკპ ნებაყოფლობის საწყისებზე აერთიანებს თავის რიგებში საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვისაც ახლობელი და ძვირფასია სოციალიზმის იდეალები, საბჭოთა ტიპის სახელმწიფო და ილწვის ცხოვრებაში მათი დამკვიდრებისათვის.

22. სეკპ არის მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის პარტია. იგი არსებობს მშრომელებისათვის და ემსახურება მათ, ყოველნაირად უწყობს ხელს ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და კონსოლიდაციას, სასოგადოების ყველა წევრის მაღალი მორალური თავისებურების პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, მშვიდობის, მეგობრობის, ხალხთა შორის ძვირი კავშირების დამყარების სულისკვეთებით აღზრდას.

23. სეკპ ილწვის მოქალაქეთა ჭეშმარიტი სოციალური თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის, სამართლიანობის დასამკვიდრებლად "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" პრინციპების სულისკვეთებით, იცავს მათ უფლებებსა და თავისუფლებას, თავის მთავარ მიზნად მიაჩნია მშრომელთა ფიზიკურ და სნეობრივ ჯანმრთელობაზე, სოციალურ დაცვაზე, განათლებასა და კულტურულ უზრუნველყოფაზე.

სეკი ისწრაფვის ყველა პროგრესულ პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობისათვის, მანაწილობს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში და მშრომელთა მასების ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკის შემუშავებაში.

25. საქართველოს ძლიერებისა და უძლეველობის, ქვეყნის აყვავების პერსპექტივას პარტია ხედავს მის მთავარაკეთა ერთიანობასა და დარაზმულობაში, ხალხის ნებასურვილზე დამყარებულ სოციალისტურ მშენებლობაში, საბჭოების ფორმით დამკვიდრებულ ხალხის ძალაუფლებაში, ღრმა რტკურ-აციულ პროცესებზე დაფუძნებულ სახელმწიფოთა და ხალხთა კავშირში, რესპუბლიკის რეალური დამოუკიდებლობისა და მთლიანობის შენარსუნებაში.

26. სეკი თავის მოღვაწეობას ახორციელებს მაღალი მორალურ-ზნეობრივი ნორმების, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების განუხრელი დაცვის, შიდაპარტიული დემოკრატიის, პარტიის წევრთა აქტიურობისა და თვითმოქმედების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივ გაშლის საფუძველზე.

27. სეკი ცხოვრების ურყევი კანონია იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა, მისი რიგების მონოლითურობა, მტკიცე, შეგნებული დისციპლინა. იგი თავისუფლდება იმ პირთაგან, რომლებიც არღვევენ სეკი პროგრამას და წესდებას და თავიანთი მოქმედებით არცხვენენ პარტიის წევრის მაღალ წოდებას.

28. სეკი თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის იდეური მემკვიდრეობა.

29. სეკი შემოქმედებითად იყენებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, გადაჭრით იბრძვის რევიზიონიზმის, ოპორტუნიზმის, დოგმატიზმისა და სქოლასტიკის ნებისმიერი გამოვლენის წინააღმდეგ.

### III. პარტიის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი.

31. სეკი წევრი შეიძლება იყოს საქართველოს საარჩევნო უფლების მქონე ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს პარტიის პროგრამას და წესდებას, მუშაობს მის ერთ-ერთ პირველადს ორგანიზაციაში, ასრულებს პარტიის გადაწყვეტილებებს და იხდის საწევრო შესატანს;

32. სეკი წევრს უფლება აქვს:

- ა) აირჩიოს და არჩეული იქნეს პარტიულ ორგანოებში, მიიღოს ინფორმაცია მათს მოღვაწეობაზე;
- ბ) წამოაყენოს და თავისუფლად იმსჯელოს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, შიდაპარტიულ ცხოვრებაზე, შემოიტანოს წინადადებები, გამოთქვას და დაიცვას თავისი თვალსაზრისი, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებათა შემუშავებაში;
- გ) თავის საზოგადოებრივ მუშაობაში სარგებლობდეს პოლიტიკური მხარდაჭერითა და პარტიული ორგანიზაციის დაცვით, ატარებდეს სეკი მიერ დადგენილ საპატიო წოდებებს; ამ მიზნით დაწესდეს:
  - სეკი "საპატიო თავმჯდომარის" წოდება და ეს წოდება მიენიჭოს პარტიის იმ ხელმძღვანელს (სიკოცხლეში ან სიკვდილის შემდეგ), რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის პარტიის წინაშე;
  - "ვერკრანი კომუნისტის" წოდება და ეს წოდება მიენიჭოს სეკი იმ წევრებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობიდან დაწყებული აქვთ 40 და მეტი წლის საერთო პარტიული სტაჟი და სხვა პარტიის წევრი არასდროს ყოფილან;

„პატიო კომუნისტის“ წოდება და ეს წოდება მიენიჭოს სეკა იმ წევრებს, - რომლებსაც საბჭოთა კომუნისტური პარტიის წევრობიდან დაწყებული აქვთ 30 და მეტი წლის საერთო პარტიული სტაჟი და სხვა პარტიის წევრი არასდროს ყოფილან;

დ) მისცეს შეფასება, გააკრიტიკოს ნებისმიერი შიდა პარტიული ორგანო და ნებისმიერი კომუნისტი. ამ პარტიის წევრები, რომლებიც შეეცდებიან კრიტიკის ჩახშობას, მათი კრიტიკისათვის ვინმეს დევნას, შეწყვიტული იქნებიან მკაცრ პარტიულ პასუხისგებაში, თვით პარტიის რიგებიდან გარიცხვამდე;

ე) მამართოს განცხადებებითა და წინადადებებით ნებისმიერ შიდა პარტიულ ინსტანციას და მიიღოს პასუხი მათზე;

ვ) პირადად მიიღოს მონაწილეობა იმ პარტიული ორგანოს მუშაობაში, სადაც განიხილება მისი წინადადება, ან მიიღოს მსჯელობა მის მოღვაწეობასა და ქცევაზე;

ზ) მიიღოს მონაწილეობა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების მუშაობაში, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება სეკა პროგრამულ და საწესდებო მოთხოვნებს;

თ) გამოვიდეს პარტიის რიგებიდან;

ი) სეკა წევრი არ შეიძლება იყოს სხვა პარტიის წევრი;

### 33. სეკა წევრი მოვალეა:

ა) განუხრელად დაიცვას პარტიის პროგრამა და წესდება, სიტყვითა და საქმით შეუწყოს ხელი ცხოვრებაში მათ გატარებას;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყოს მისი მორალურ-სწრაფი და მცველი, სანიმუშოდ იქცეოდეს ყველგან და ყველგან, საზოგადოებრივ ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებდეს;

გ) ეუფლებოდეს სოციალიზმის ისტორიას, თეორიასა და პრაქტიკას, გამუდმებით იმაღლებდეს თავის პოლიტიკურ, იდეურ და კულტურულ დონეს, პროპაგანდას უწევდეს პარტიის იდეებს მასებში;

დ) ნათლად და გასაგებად აუხსნას მშრომელებს სოციალიზმის ისტორიული მონაპოვრების მნიშვნელობა, აუწყოს მთელი დამღუპველობა კაპიტალიზაციისა და კერძო მესაკუთრული კურსისა, რამაც ქვეყანა გაყო შეძლებულებად და დატაკებად;

ე) შეუპოვრად იღწვოდეს მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ ადრე მოპოვებული და ამჟამად დაკარგული პირადი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების აღდგენისათვის, იბრძოდეს საზოგადოების ქონებრივად და სოციალურად განსხვავებულ ფენებად უსამართლო დაყოფის წინააღმდეგ, შრომისუნარმოკლებულთა და სოციალურად და ნაკლებურუნეველყოფილთა რვაღურად მოქმედი დაცვის მექანიზმის ფორმირებისათვის;

ვ) იბრძოდეს შოვინიზმის, ნაციონალიზმის, ბიუროკრატიზმის, პირადულობის, ყოყონობისა და კარიერიზმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ;

ზ) ავითარებდეს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადოს კრიტიკის ჩახშობის ფაქტებს;

თ) უხრუნველყოფდეს პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ერთიანობას, იჩენდეს სიფხიზლეს, დაიცავს პარტია მის რიგებში უღირსი ადამიანების შეღწევისაგან;

ი) განუხრელად დაიცვას კადრების შერჩევის პრინციპი მათი იდეური, პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების მიხედვით;

...ციკვას პარტიის ყველა წევრისათვის ერთნაირად აუცილებელი პარტიული დისციპლინა, უფლად გადაიხადოს პარტიის საწევრო. პარტიაში ერთი დისციპლინა და ერთი კანონია მისი წევრისათვის, მიუხედავად პირადი დამსახურებისა და დაკავებული თანამდებობისა;

24) პარტიის წევრი თავის პოლიტიკურ მუშაობაზე პერიოდულად ანგარიშს აბარებს პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ან შესაბამის პარტიულ ორგანოებს.

34. სეკპ რიგებში მიღება ხდება ინდივიდუალური წესით, შემომსვლელის განცხადებისა და პარტიის იმ წევრის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც მას იცნობს.

რეკომენდატორი პარტიული ორგანიზაციის წინაშე პასუხისმგებელია რეკომენდირებულის პოლიტიკური, საქმიანი და მორალური დახასიათების ობიექტურობაზე.

პარტიულ ორგანიზაციას უფლება აქვს პარტიაში შესვლის მსურველს პარტიაში მიღებამდე დაადგინოს წინასწარი საგამოცდო საკანდიდატო ვადა.

35. პირები, რომლებიც იყვნენ სხვა პარტიებში, სეკპ-ში მიიღებიან საერთო საფუძველზე. სეკპ-ში ჩარიცხვის გადაწყვეტილება მიიღება პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე და მტკიცდება პარტიის საქალაქო და რაიონული ორგანიზაციის კომიტეტის მიერ.

36. სეკპ-ში მოქმედებს ერთიანი პარტიული ბილეთი, რომლის ნიმუშს სეკპ ცენტრალური კომიტეტი ადგენს.

37. სეკპ წევრი პარტიულ აღრიცხვაზე იმყოფება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მისი სურვილისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის თანხმობის გათვალისწინებით.

38. საკითხი პარტიის იმ წევრის შესახებ, რომელმაც ჩაიდინა უღირსი საქციელი, არ გადაუხდია საწევრო სამი თვის მანძილზე და ფაქტიურად დაკარგული აქვს კავშირი პარტიულ ორგანიზაციასთან. განიხილება პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ და საბოლოო გადაწყვეტილება სეკპ-ის რიგებიდან მისი გარიცხვის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება სეკპ რაიონული და საქალაქო ორგანიზაციის კომიტეტის მიერ.

39. სეკპ წევრობა წყდება პარტიის წევრის განცხადების საფუძველზე პარტიიდან ნებაყოფლობითი გამოსვლის შესახებ და განიხილება პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრების მიერ.

310. პარტიული დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესების ნორმების დარღვევისათვის პარტიის წევრების მიმართ გამოიყენება აღმზრდელობითი და ზემოქმედებითი ღონისძიებანი შენიშვნის, საუვედურისა და სასტიკი საყვედურის მიცემის სახით;

311. სეკპ-დან გარიცხულს ან სასჯელდადებულს უფლება აქვს ორი თვის ვადაში წარადგინოს აპელაცია ზემდგომ პარტიულ ორგანოში ან ზემდგომ საკონტროლო კომისიაში. აპელაციები განიხილება არაუგვიანეს ორი თვისა.

#### IV. სეკპ ორგანიზაციული წყობა, შიდაპარტიული დემოკრატია

41 სეკპ-ის სტრუქტურაში შედიან: ყრილობა-უმაღლესი ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანო. პარტიის ცენტრალური კომიტეტი- ყრილობებს შორის ხელმძღვანელი ორგანო, პარტიის უმაღლესი რეგულაციური საბჭო-აღმასრულებელი ორგანო, პარტიის საკონტროლო-სარევიზიო კომისია-საკონტროლებელი ორგანო; სტრუქტურულ ქვედანაყოფებში- საოლქო /რესპუბლიკური/, საქალაქო და რაიონული პირველადი პარტიული ორგანიზაციები და მათი არჩევითი ორგანოები, აგრეთვე პარტიის საოლქო რესპუბლიკური/, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების საკონტროლო-სარევიზიო

ები. პარტიის საკონტროლო-სარევიზიო კომისია თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს სეკპ-  
წესდებით და პარტიის ყრილობის მიერ დამტკიცებული დებულებით.

პარტიაში დაუშვებელია ფრაქციებისა და დაჯგუფებების შექმნა.

42. სეკპ სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სეკპ ცენტრალური კომიტეტი.

43. პარტიის ორგანიზაციული წყობის, არსებობისა და მოღვაწეობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმი, რაც ნიშნავს:

ა) პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას ქვემოდან ზემოთ;

ბ) პარტიული ორგანოების პერიოდულ ანგარიშებას თავიანთი პარტიული

გ) ორგანიზაციებისა და ზემდგომი ორგანოების წინაშე;

დ) მკაცრ პარტიულ დისციპლინასა და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებას;

ე) ხემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა სავალდებულო შესრულებას ქვემდგომი ორგანოების მიერ;

ვ) ყველა ორგანიზაციისა და ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობაში კოლექტიურობას, როგორც უმაღლეს პარტიულ პრინციპს, რაც ნიშნავს გულახდილობას, საჯაროობას, პრინციპულობას, პარტიულ ამხანაგობას მუშაობაში, თითოეული კომუნისტის პერსონალურ პასუხისმგებლობას თავისი მოვალეობის შესრულებაზე.

44. სეკპ ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი ავტონომიურია ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, თუ ეს გადაწყვეტილებები არ ეწინააღმდეგება პარტიის პოლიტიკას.

45. სეკპ სტრუქტურული ქვედანაყოფები (საოლქო, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული, პირველადი პარტიული ორგანიზაციები) თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სეკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

## V. სეკპ უმაღლესი ორგანოები

51. სეკპ უმაღლესი ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანოა ყრილობა. მორიგ ყრილობებს ცენტრალური კომიტეტი იწვევს 4 წელიწადში ერთხელ. ყრილობის ჩატარების თარიღი და დღის წესრიგი ცხადდება ყრილობის მოწვევამდე არა უგვიანეს თვენახევრით ადრე. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სეკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ განსაზღვრული ქვრტების მიერ არჩეული არანაკლებ 200 წარმომადგენლის-დელეგატის ნახევარზე მეტი. რიგგარეშე /საგანგებო/ ყრილობა მოიწვევა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ან საკონტროლო - სარევიზიო კომისიის წინადადებით, ან უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე წარმოდგენილ დელეგატთა უმრავლესობის მიერ. რიგგარეშე /საგანგებო/ ყრილობა მოიწვევა ერთი თვის ვადაში და უფლებამოსილია ითველბა, თუ მასზე წარმოდგენილია ცენტრალური კომიტეტის მიერ განსაზღვრულ დელეგატთა ნახევარზე მეტი.

52. სეკპ ყრილობა:

ა) ისწავს და ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტის, აღმასრულებელი საბჭოს, საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

ბ) ამტკიცებს სეკპ პროგრამასა და წესდებას და შეაქვს მათში ცვლილებები და დამატებები. ცვლილებაში ძალაშია მათი რეგისტრაციის მომენტიდან. ყრილობის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში ცვლილებების რეგისტრაციისთვის დოკუმენტები წარედგინება მარეგისტრირებელს;

სახელმწიფო პარტიის ხაზს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში;

52. ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს, აღმასრულებელ საბჭოს და საკონტროლო-სარევიზიო კომისიას ყრილობის მიერ დადგენილი უფლებებით 4 წლის ვადით;

53. ირჩევს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს (იგივე პარტიის თავმჯდომარეს), ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს (იგივე პარტიის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს), აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეს (იგივე პარტიის თავმჯდომარის მოადგილეს), საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს 4 წლის უფლებამოსილების ვადით;

54. ახდენს პარტიის რეორგანიზაციასა და თვითლიკვიდაციას.

55. სეკპ ცენტრალური კომიტეტი ყრილობიდან ყრილობამდე ხელმძღვანელობს სეკპ მოვლს საქმიანობას. ახდენს ყრილობის მიხსანდასახულობათა რეალიზებას, ახორციელებს ხელმძღვანელი პარტიული კადრების შერჩევასა და განაწილებას, ქმნის სხვადასხვა ქვედანაყოფებს, ამტკიცებს პარტიულ გამოცემათა სარედაქციო კოლეგიებს, ანაწილებს და აკონტროლებს პარტიული ბიუჯეტის სახსრებს.

56. ცენტრალური კომიტეტი ჩატარებული მუშაობის შესახებ რეგულარულად აწვდის ინფორმაციას პარტიულ ორგანიზაციებს.

57. აღმასრულებელი საბჭო არის სეკპ-ის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახდენს პარტიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების აღსრულებას და თავის მუშაობას წარმართავს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების ხელმძღვანელობით გამგეობის ყოველთვიური სხდომების გადაწყვეტილებების კვალობაზე, სათანადო განყოფილებების მეშვეობით. აღმასრულებელი საბჭოს სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ, გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. აღმასრულებელი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

58. სეკპ ცენტრალური კომიტეტი ექვს თვეში ერთხელ მაინც მართავს პლენარულ სხდომას, საჯიროების შემთხვევაში იწვევს საგანგებო ან რიგგარეშე სხდომებს. ცენტრალური კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ცენტრალური კომიტეტის წევრთა ნახევარზე მეტი; ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები და გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

თუ აუცილებლობა მოითხოვს, ცენტრალური კომიტეტი, აღმასრულებელი საბჭო და საკონტროლო-სარევიზიო კომისია ატარებენ ერთობლივ სხდომებს.

59. პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ცენტრალური კომიტეტი ირჩევს და ანთავისუფლებს მდივნებს, მათ შორის მდივანს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დარგში, იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, აღმასრულებელ მდივნებს, დარგობრივ და ტერიტორიულ სხვა მდივნებს. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (იგივე პარტიის თავმჯდომარე) წარმართავს საერთო ხელმძღვანელობას, ერთპიროვნულად წარმოადგენს პარტიას ქვეყანაში და მის სახელმძღვანელო გარეთ, სეკპ-ის სახელით, მოქმედებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, აწარმოებს მოლაპარაკებებს, დებს ხელშეკრულებებს, ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში. პირველი მდივნის არყოფნის შემთხვევაში მის ყველა ფუნქციას ასრულებს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი (იგივე პარტიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე), ხოლო მეორე მდივნის არყოფნის შემთხვევაში - აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე (იგივე პარტიის თავმჯდომარის მოადგილე).

60. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (იგივე პარტიის თავმჯდომარე) სარგებლობს სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. მის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ცალკეულ შემთხვევებში სპეციალური წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი (იგივე პარტიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე).

სეკპ ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე ახორციელებს საბჭოს საქმიანობის საერთო მართვას.

5.10. სეკპ ცენტრალური კომიტეტი იხილავს და დებულობს გადაწყვეტილებებს პარტიულ-პოლიტიკური, კულტურულ-სამეურნეო და სახელმწიფოებრივი ცხოვრების იმ საკითხებზე, რომლებიც არ შედის ყრილობის კომპეტენციაში.

5.11. სეკპ ცენტრალური კომიტეტი მთელს თავის საქმიანობას ახორციელებს ღიად და საჯაროდ.

5.12. სეკპ საკონტროლო-სარევიზიო კომისია თავის პირველ სხდომაზე ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

5.13. საკონტროლო-სარევიზიო კომისიის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა პარტიის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზია, აგრეთვე დებულებით განსაზღვრული რიგი საკითხებით დაინტერესება.

5.14. საკონტროლო-სარევიზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. კომისიის სხდომები იმართება კვარტალში ერთხელ. კომისია ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

## VI. სეკპ ქონება და ფინანსები

6.1 სეკპ ქონებას ქმნის:

ა) საწევრო ანარიცხები;

ბ) ფიზიკურ პირთა შემოწირულობები;

გ) კანონით დადგენილ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები;

დ) პარტიის სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, პარტიის მიერ ლექციების, გამოფენებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიწებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული თანხებით, რომლებიც არ ცვლის, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის, ხასიათს, აგრეთვე საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულობები.

6.2. ყოველთვიური საწევრო შესატანი პარტიის წევრისათვის განისაზღვროს მისი თვიური შემოსავლის არანაკლებ ერთი პროცენტისა, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარისა

6.3. გაწევრიანების შესატანი პარტიის წევრისათვის განისაზღვრება მისი თვიური შემოსავლის არანაკლებ ორი პროცენტის ოდენობით.

6.4. სეკპ ფლობს მატერიალურ ფასეულობას, რომელიც იქმნება როგორც საკუთარი ფულადი სახსრებით, ისე პარტიის წევრებისა და მოქალაქეების ნებაყოფლობითი შენატანებით.

6.5. პარტიის ფულადი სახსრების ხარჯვა ხორციელდება სეკპ-ის ცკ-ის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

6.6. სეკპ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, საბანკო ორგანიზაციებში გახსნილი აქვთ ქვეანგარიში, აქვთ მრგვალი ბეჭედი და სატიტულო ფურცელი.

6.7. სეკპ-ს გააჩნია საკუთარი გაზეთები და ჟურნალები, ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას.



სეკპ კონება და სახსრები გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნების განსახორციელებლად და  
სეკპ გამოიყენება სხვა დანიშნულებით აკრძალულია.

## VII. სეკპ რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

7.1. გადაწყვეტილება საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის რეორგანიზაციის და  
ლიკვიდაციის შესახებ მიიღება სეკპ ყრილობის მიერ, თუ მას ხმას მისცემს ყრილობის მონაწილე  
ორი მესამედი.

7.2. სეკპ-ის გაუქმების გადაწყვეტილების მიღებისას პარტიის ყრილობა კმნის სალიკვიდაციო  
კომისიას, რომელიც ახორციელებს პარტიის ლიკვიდაციას რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის  
თანახმად.

სეკპ ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მატერიალური ფასეულობა გადანაწილდება მოქმედი  
კანონმდებლობის შესაბამისად.